მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი N9

ქ. მარნეული 24.05.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, კოტე ბოჭოიძე, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ირაკლი ბურნაძე, რამიზ გულმამედოვი, ზურაბ ჭონიაშვილი, არსენ ახვერდიანი, მაილ მიქიევი, ისმაილ ბაირამოვი, აბიდ ოსმანოვი, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, ვალი ისმაილოვი, რაგიმ ასკეროვი, ჯოშგუნ ზეინალოვი, მამედ მამედოვი, მახირ იუსუბოვი, ლევონ აკოპიანი, რაფიკ ჯაფაროვი, აგილ ფაშაევი, გივი ქველაძე, რუსტამ ფაშაევი, სულეიმან ხალილოვი, ელხან მუფტიევი.

არ ესწრებოდა: - რიჩარდ გიგანი, რაფიკ მუსაევი, ქამილ ალიევი, ბესიკ გუჯეჯიანი, აიდა ხაჩიკიანი.

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: ,,მარნეული TV“-ს ტელევიზიის წარმომადგენლები, გაზეთ ,,ოზანის“ რედაქტორი ქამილ მუსაევი.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის პირველი კვარტლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 22 აპრილის N03/2685 წერილის განხილვის შესახებ.
4. ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის ,,სპორტული სკოლა“-ს 2016 წლის 6 აპრილის N33 წერილის განხილვის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 14 აპრილის N1071-03 მოხსენებითის განხილვის შესახებ.

6. ქალაქ მარნეულში მცხოვრები თეა გიორგაძის განცხადების განხილვის შესახებ.

7. ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N190 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

8. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 მაისის N03/3036 წერილის განხილვის შესახებ.

9. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 11 მაისის N03/3009 წერილის განხილვის შესახებ.

10. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის2016 წლის 27 აპრილის N1252-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

11. ა.ა.ი.პ. ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2016 წლის 23 მაისის N26 წერილის განხილვის შესახებ.

12. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 მაისის N1447-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

13. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 13 აპრილის N1060-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

14. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 23 მარტის N814-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

15. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 13 მაისის N03/3070 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

16. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 მაისის N1446-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

17. მოქალაქე სადრადინ გადიმოვის 2013 წლის 23 იანვრის საკუთრების მოწმობის გაუქმების შესახებ.

18. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N14. 24.05.2016 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე გამოითქვა აზრი, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით შეფასდეს დადებითად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N66. 24.05.2016 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 22 აპრილის N03/2685 წერილის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს მარნეულის მუნიციპალიტეტსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციას შორის 2016 წლის 01 აპრილის გაფორმებული ხელშეკრულება და მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს მერაბ თოფჩიშვილს, უზრუნველყოს ხელშეკრულებაში ასახული თანხის გადარიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N61. 24.05.2016 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, საკრებულოს წევრებს, ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის ,,სპორტული სკოლა“-ს 2016 წლის 06 აპრილის N33 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს 1000 ლარის გამოყოფა გინესის რეკორდსმენის დავით ჟორჟოლიანის ერთჯერადი ფინანსური დახმარებისათვის

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N64. 24.05.2016 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 15 აპრილის N03/2502 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 14 აპრილის N1071-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს 1000 ლარის გამოყოფა გინესის რეკორდსმენის ეითიბარ ელჩიევის ერთჯერადი ფინანსური დახმარებისათვის

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N63. 24.05.2016 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქე თეა გიორგაძის განცხადების (რეგ.N526/05. 11.03.2016წ) გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს სპორტული ღონისძიებების და სხვა დანარჩენი საქონელის და მომსახურების მუხლიდან 800 ლარის გადარიცხვა აიპ ,,35-ე საფეხბურთო კლუბი“-ს ანგარიშზე ამ სკოლის წარმატებული მოსწავლის დავით ბარამიძის საფეხბურთო კლუბში სწავლის საფასურის დასაფარად, ვინაიდან დავით ბარამიძე

არის მარნეულის მუნიციპალიტეტის მკვიდრი, პერსპექტიული სპორტსმენი და ოჯახს არ აქვს შესაძლებლობა დაფაროს მისი საფეხბურთო სკოლაში სწავლებასთან დაკავშირებული ხარჯები.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N62. 24.05.2016 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N190 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N59. 24.05.2016 წ).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 მაისის N03/3036 წერილის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.ბ“ ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს მერაბ თოფჩიშვილს, მარნეულის მუნიციპალიტეტში პირუტყვის დაავადებების კონტროლისა და კატასტროფების რისკის შემცირების მუნიციპალური სამუშაო ჯგუფის მუშაობის ხელშეწყობის მიზნით, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDG) მიერ დაფინანსებული და საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია ,,მერსი ქორფს“-ის მიერ განხორციელებული ,,მცირე კავკასიის ალიანსების ქვემო ქართლის პროგრამა“-ს ფარგლებში მიიღოს საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია ,,მერსი ქორფი“-საგან მარნეულის მუნიციპალიტეტის სახელით პროექტის მთლიანი ღირებულების (პროექტის სავარაუდო ღირებულება 21290.00 აშშ. დოლარის ექვივალენტი ლარში) 70%-ს ოდენობის გრანტი (15 000 აშშ. დოლარის ექვივალენტი ლარში) მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით დააფინანსოს პროექტის ღირებულების დარჩენილი 30% (6290.00 აშშ. დოლარის ექვივალენტი ლარში) და გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N60. 24.05.2016 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 11 მაისის N03/3009 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, თხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, წახალისების სახით, უზრუნველყოს 500 ლარის გამოყოფა მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტსმენის ლუკა კაპანაძის ერთჯერადი ფინანსური დახმარებისათვის, რომელმაც ქალაქ მოსკოვში გამართულ ძიუ-დოს საერთაშორისო ტურნირში დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N65. 24.05.2016 წ).

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 მაისის N03/3039 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის 2016 წლის 27 აპრილის N1252-03 მოხსენებითი ბარათი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ასანაზღაურებელი ყოველთვიური ხარჯების ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 156-მუხლთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. როგორც მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, საუბარია იმაზე, რომ სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯი, რომელიც გაიცემა იმ საკრებულოს წევრზე, რომელიც არ არის თანამდებობის პირი, არ უნდა აღემატებოდეს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს, რაც შეადგენს 397 ლარსა

და 50 თეთრს. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის ყოვეთვიურად, თანხობრივად გაიცემა 397 ლარი, მაგრამ მოხსენებით ბარათში გამოთქმული შენიშვნა ეხება საკრებულოს წევრისათვის საწვავის ყოველთვიური ლიმიტის დაწესებას, რომლის ოდენობაც უნდა შედიოდეს 397 ლარში და ცალკე, დამატებით საწვავის ოდენობის დაწესება ზრდის ამ ხარჯის ოდენობას და წინააღმდეგობაში მოდის კანონის ზემოაღნიშნულ მუხლთან. საკრებულოს წევრებმა გამოთქვეს აზრი, რომ ყოველთვიურად ხარჯის ასანაზღაურებლად გამოყოფილი თანხაც კი ძალზედ მიზერულია იმისათვის, რათა მათ მიერ განხორციელდეს სადეპუტატო უფლებამოსილება და თუ მათ არ ექნებათ საშუალება ისარგებლონ თუნდაც საწვავის ლიმიტით, ვერ შეძლებენ განახორციელონ ამ კანონითვე მათთვის მინიჭებული უფლებამოსილება, ეს ეხება როგორც სხდომაზე დასწრების და კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობას, ასევე მათ შეხვედრებს მოსახლეობასთან, ვინაიდან რაიონის ადმინისტარციულ ტერიტორიულ ერთეულში შემავალი სოფლები საკამოდ დაცილებულია ერთმანეთთანაც და ადმინისტრაციულ ცენტრთანაც, რაც საწვავის გამოყოფის აუცილებლობას საჭიროებს. საკრებულოს წევრებმა ითხოვეს საკრებულოს სხდომაზე კენჭისყრაზე დაისვას მოხსენებით ბარათში დაყენებული საკითხი. აზრთა შეჯერების შედეგად კენჭისყრაზე დასაყენებელი საკითხი ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: ვინაა მომხრე, გაუქმდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N190 განკარგულებით დამტკიცებული საწვავის ლიმიტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, მომხრე -0. წინააღმდეგი - 29, რის გამოც ძალაში დარჩა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N190 განკარგულებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრებისათვის საწვავის ლიმიტის გამოყოფა, რომლებიც არ არიან საკრებულოს თანამდებობის პირები.

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 23 მაისის N03/3274 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე, დასამტკიცებლად წარუდგინა ა.ა.ი.პ. ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N74. 24.05.2016 წ).

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 17 მაისის N03/3186 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 მაისის N1447-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2016 წლის 13 იანვრის N05 ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი 3 ერთეული ავტობუსი 1. ,,HIGER BUS “, მოდელი KLQ6770 G, რეგისტრაციის ნომერი - TT041VV, გამოშვების წელი - 2015, საიდენტიფიკაციოა ნომერი - LKLR1GS9XFA688017, საბალანსო ღირებულება - 148 000 ლარი, 2. ,,HIGER BUS “, მოდელი KLQ6770 G, რეგისტრაციის ნომერი - OO 041WW, გამოშვების წელი - 2015, საიდენტიფიკაციოა ნომერი - LKLR1GS93FA688022, საბალანსო ღირებულება - 148 000 ლარი, 3. ,,HIGER BUS “, მოდელი KLQ6770 G, რეგისტრაციის ნომერი - MM041SS, გამოშვების წელი - 2015, საიდენტიფიკაციოა ნომერი - LKLR1GS95FA688023, საბალანსო ღირებულება - 148 000 ლარი, შეტანილი იქნეს შ.პ.ს. ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი”ს საწესდებო კაპიტალში, საერთო ღირებულებით 444 000 ლარი

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N67. 24.05.2016 წ).

13. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 14 აპრილის N03/2406 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2016 წლის

13 აპრილის N1060-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,მეგობარი“-ს ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N42-ში მრავალბინიან სახლზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები ი/მ ,,ეკატერინე აფრასიძე“-ს მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,მეგობარი“-ს თავმჯდომარემ ემილ ხუდაევმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს კორპუსზე მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის ფართისა და საზღვრების (წითელი ხაზების) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N70. 24.05.2016 წ).

14. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 6 აპრილის N03/2185 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2016 წლის 23 მარტის N814-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,ნარიმანოვის N1“-ს მრავალბინიან სახლზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები ი/მ ,,ალახვერდი მამედოვი“ მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად (მიწის ნაკვეთის ფართი - 2237 კვ.მ განაშენიანების ფართი შენობა 01/5 – 850 კვ.მ;) და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,ნარიმანოვის N1“-ს თავმჯდომარემ ზაურ მამედოვმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს კორპუსზე მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის ფართისა და საზღვრების (წითელი ხაზების) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N69. 24.05.2016 წ).

15. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთხუთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 მაისის N03/3070 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 10 მაისის N1344-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სთხოვა თანხმობა, რათა მოქალაქე კამილ ქერიმოვის საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში აღრიცხულია მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.02.20.483 მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, ორბელიანის ქუჩა N26 ა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N71. 24.05.2016 წ).

16. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთექვსმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 17 მაისის N03/3186 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 მაისის N1446-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საიმერლოში, თამარ მეფის ქუჩა N1-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ბინის ნუმერაცია დანართის შესაბამისად

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N68. 24.05.2016 წ).

17. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეჩვიდმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯოდმარემ ზურაბ ჭონიაშვილმა, საკრებულოს წევრებს ,, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს

საქართველოს კანონის 60[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების საფუძველზე, სთხოვა თანხმობა, რათა ბათილად იქნეს ცნობილი მოქალაქე სადრადინ გადიმოვზე (პ/ნ 28001011004) მარნეულის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის მიერ გაცემული 2013 წლის 23 იანვრის N9 საკუთრების უფლების მოწმობა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N73. 24.05.2016 წ)

18. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთვრამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ, საკრებულოს წევრებს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 3 მაისის N03/2846 წერილის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა, რათა შევიდეს ცვლილება ,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 სექტემბრის N128 განკარგულებაში და კომისია განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე-ზურაბ ჭონიაშვილი. წევრები: ქამილ ალიევი - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; ვალერი ზარიძე-სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის წამყვანი სპეციალისტი; როენა ახობაძე - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი; გიორგი კავლელაშვილი-მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი; მატინ ალიევი -მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი. ასევე კომისიას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაემატოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი და გამგებლის წარმომადგენელი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N72. 24.05.2016 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის მეცხრე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი